MES 4 23 0000432249

20/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04. 04. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 -ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
17. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თემურ თექთუმანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ნაილა ჩელებაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	პრორექტორი	**I**
2	ელზა ფუტკარაძე		ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
3	თალიკო ბერიძე		ქართული ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
4	ნონა შუშანიძე		დეკანი	**I**

5	თემურ ტუნაძე		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	**I**
6	მზია შავაძე		იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი	**I**
7	ია შალამბერიძე		იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი	**I**
8	ეკატერინე გელენიძე		ადმინისტრაციის წარმომადგენელი	**I**
9	ვარადებული წურწუმია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
10	თეიმურაზ გოგოლაძე		დოქტორი, პროგრამის თანახელმძღვანელი	**II**
11	ნესტან კეკელია		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი	**II**
12	მარინა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
13	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
14	კახა შამათავა		პროგრამაზე მოწვეული სპეციალისტი	**II**
15	ნიკოლოზ ყაველაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	**III**
16	მაია ბიწაძე		ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	**III**
17	ერეკლე მაღრაძე			**III**

			ტექნოლოგიის სკოლის დირექტორი, პროფესორი	
18	ვახტანგ ბალავაძე		პროფესორი, სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
19	ალექსანდრე წაქაძე		ასოცირებული პროფესორი, სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
20	მარიამ მაჭავარიანი		ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**III**
21	მაია გამეზარდაშვილი		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	**III**
22	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
23	მარიეტა თაბაგარი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრარული ფაკულტეტის დეკანი	**IV**
24	დავით კბილაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
25	ემზარ კილასონია		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
26	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**V**
27	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	**V**
28	ივანე ჯაგოდნიშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**V**
29				**V**

	ეკატერინე შაკიაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
30	ვანო ჭიაურელი		„საზოგადოებასთან ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
31	ელდარ პირმისაშვილი		„საზოგადოებასთან ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
32	თინათინ აფხაიძე		პროფესორი	**V**
33	გიორგი ზირაქაშვილი		პროფესორი	**V**
34	ირაკლი მიქავა		ასოცირებული პროფესორი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	რამაზ ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV
9	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თა ნარეკლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ლიკა კვინჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "ქართული ლიტერატურის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "ქართული ლიტერატურის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "ქართული ლიტერატურის" და "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ქართულიფილოლოგია**
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 დეკემბრის №796
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური), 6309, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 დეკემბრის №806 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ლიტერატურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური), 6309, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ქართველურიენათმეცნიერება**
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 დეკემბრის №807 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური), 6309, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო პოპიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრეს და დამსწრე საზოგადოებას. ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული იყო სამი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა. მისი განმარტებით, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის სტანდარტების პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ნაწილში კი პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მოწადინებულია, რომ წვლილი შეიტანოს უმაღლესი განათლების განვითარებაში, თუმცა გარკვეულ ნაწილში შეინიშნება თანამედროვე სტანდარტებთან და დარგობრივ მახასიათებელთან შეუსაბამობა. უნივერსიტეტი მეტად უნდა იყოს ჩართული სამეცნიერო დიალოგში და აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას და მათ განსხვავებული პოზიცია არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. მისი განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ყველა რჩევას და რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების სიმრავლიდან გამომდინარე დაინტერესდა თუ რა დრო დასჭირდება დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ 3.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემული იყო რეკომედაცია „დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ“, გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ისინი ფიქრობენ, რომ რეკომენდაციის შესრულებისთვის დასჭირდებას გარკვეული დრო. დანარჩენ რეკომენდაციებზე კი ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და გარდა მესამე სტანდართთან მიმართებით გაცემული რეკომედაციისა, დაწესებულებას 1 წელი მაინც დასჭირდება, რათა სრულად შეასრულოს ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 2.4 კომპონენტის ნარატივში საუბარი იყო დამთხვევის მაღალ მაჩვენებელთან დაკავშირებით, თუმცა შემდგომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ იყოს გაცემული რეკომენდაცია. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიმართა საკითხის დასაზუსტებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა განაცხადა, რომ 2.4 კომპონენტშთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაში არ არის ასახული პლაგიატის პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა ასახულია ის, რომ არგუმენტირებული ნაშრომები იყოს წერილობითი ფორმით ატვირთული ლექტრონული სწავლების პლატფორმაზე, რომელიც გამოასწორებს მსგავსების პროცენტის მაჩვენებლის განსაზღვრას და აკადემიური კეთილსინდისიერების პრობლემების აღმოფხვრას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშველოვანია აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის კულტურის დანერგვა აკადემიურ სივრცეში შესაბამისი დისციპლინების და მისი განგრძობითობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, რეკომედაციაში ასახული იყო აღნიშნული მოცემულობით. დამთხვევის 20% და 30% საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიიჩნევენ, რომ პლაგიატისთვის თუ ის არღვევს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს 1%-იც კი მაღალი მაჩვენელი იქნება.

საბჭოს წევრი, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა ექსპერტებს. იგი დაინტერესდა, მე-4 სტანდარტის კომპონენტებში კლასტერულად იდენტიფიცირებული და განსაზღვრულია რიგი რეკომენდაციების, მაშინ როდესაც თავად ცალკეული პროგრამების მიხედვით რეკომენდაციები არ არის გაცემული. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ კლასტერულ რეკომენდაციაში წერია, რომ „რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური დონის გაუმჯობესება“ რამდენად არის ეს კლასტერული რეკომენდაცია, როდესაც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც შედის კლასტერში. გარდა ამისა, რის საფუძველზე არის თითოეული პროგრამა მე-4 სტანდარტში შეფასებული, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო პოპიაშვილმა განაცხადა, რომ კლასტერული აკრედიტაცია და კლასტერული შეფასება ყველა პროგრამისთვის არის გამოწვევა და სიახლე, რომელიც მოითხოვს დაკვირვებას და კომპლექსურ მიდგომას. ეს თითოეულ პროგამაში შეიძლება განსხვავებულად გამოვლინდეს, ცალკეული პროგრამების და მთელ კლასტერში გაერთიანების მიხედვით. მისი განმარტებით, პროგრამების შეფასება მოხდა განზოგადებულად, რომლებიც ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. მე-4 სტანდარტი განსაზღვრავს ბევრ საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს ყველა სტანდარტთან, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა თითოელი დეტალი და დასკვნების შემუშავება მოხდა ერთიანი მსოფლმხედველობით. კლასტერული შეფასების დროს შესაძლებელია, რომ რეკომენდაციების გაეცმა მოხდეს ინდივიდუალურ პროგრამებთან მიმართებით მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დაზუსტების სახით დაინტერესდა, რომ 4.2 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციაში, სადაც საუბარია სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ნორმებზე და სტანდარტების დაცვაზე, რეალურად აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებელია, რომ საბაკალავრო ნაშრომზეც გავრცელდეს?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებითაც იყო გაცემული ცალკე რეკომენდაცია.
საბჭოს წევრი, ნათია ზედგენიძე დაინტერესდა 4.3 კომპონენტთამ მიმართებით გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციაზე (რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება), რომელიც გაცემული იყო სამივე პროგრამასთან მიმართებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა სტანდარტის შეუსაბამობიდან გამომდინარე თუ ეს არის საკითხი, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც გააძლიერება პროგრამას და უფრო მეტ ღირებულებას შესძენდა?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ ეს იყო საბჭოს წევრის მიერ აღნიშნული საფუძვლების კომბინაცია. პროგრამას სჭირდება სხვადასხვა კომპონენტით გაძლიერება და ეს იყო 4.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის საფუძველი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფილოლოგებს მჭიდრო და ინტენსიური ურთიერთობა აქვს რეგიონში ყველაზე ახლო დაწესებულებებთან, კერძოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. დაწესებულებამ ვერ შეძლო დოკუმენტურად დაედასტურებინა პროგრამის ფარგლებში ამ ორი უნივერისტეტის ურთიერთთანამშრომლობა.

საბჭოს წევრი, თამარ სირაძე დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლები აპირებენ თუ არა საბაკალავრო პორგამასთან მიმართებით უცხოური ლიტერატურის შემსწავლელი კურსის დამატებას, ეს კითხვა ეხება სამაგისტრო პროგრამებსაც, რადგან არც სამაგისტრო პროგრამის მიმართებით არის მოცემული კურსები უცხოური ლიტერატურის შესწავლასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები მოცემული საკითხის დარეგულირებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა დაწესებულების პერსონალის მიერ განხორციელდა თუ არა რომელიმე შიდა მიზნობრივი პროექტი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შიდა მიზნობრივი საუნივერსიტეტო საკონკურსო წესი არის ახალი, რომელიც არ განხორციელებულა ფილოლოგიის მიმართულებით. შიდა მიზნობრივი წესი ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას პროექტებში, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც დაწესებულების, ისე პროგრამის განვითარებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაიწყეს მუშაობა, რომ სილაბუსებში დაემატოს უცხოური ლიტერატურა ახლო მომავალში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები შეივსება უცხოური ლიტერატურით.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. იგი დაინტერესდა, „ქართული ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამის 1.4 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან: „შესაბამისი დარგის სპეციალისტების არყოლის გამო რეკომენდებულია, ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემოიფარგლოს ქართულის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლებით“ დაკავშირებით, უზრუნველყოფს თუ არა დარგობრივი მახასიათებლით გათავლისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას პროგრამაში მოცემული კონკრეტული თემებით შემოფარგვლა. მეორე კითხვა ეხებოდა 2.1 კომპონენტში სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით გაცემულ რჩევას, რომ „სასურველია, ქართული

ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში“, საბჭოს წევრი დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა, რომ არამომიჯნავე და არაჰუმანიტარული მიმართულებით ხარისხის მქონე ბაკალავრის მქონე სტუდენტებისთვის დაძლევადი იყოს მოცემული სამაგისტრო პროგრამები. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნობა რაოდენობრივ მაჩვენებლებს, სადაც მოცემულია საბაკალავრო პროგრამაზე გარე და შიდა მობილობის მაჩვენებელი და დაინტერესდა თუ რატომ მიმართავენ ხშირად სტუდენტები მობილობას, რა არის მიზეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი იძლევა საშუალებას ერთი მხრივ ახალგაზრდები დასპეციალდნენ ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით და მეორე მხრივ ქართული ენის მიმართულებით. ასეთი პრეცენდენტი არაერთი ყოფილა და კარგად მუშაობს პროგრამები, სადაც ქართული ენა გაძლიერებულად ისწავლება და ასევე არის პროგრამები, სადაც ქართველური ენათმეცნიერება და ქართველური ენები ისწავლება კომპლექსურად. პროგრამაზე მხოლოდ მეგრული ენის სწავლება შედეგზე გასვლას ვერ უზრუნველყოფს და დააზარალებს საგანმანათლებლო პროცესს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კანონის ფარგლებში სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებია, რომ სტუდენტის წინა კვალიფიკაცია არ იყოს განსაზღვრული და დაზუსტებული, თუმცა ეს ხდება მაშინ, როდესაც პროგრამებს აქვს ინტერდისციპლინარული ხასიათი. ენათმეცნიერების პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს სტუდენტი, რომელსაც აქვს ზუსტი მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი და რომელიც ენის გაციფრულებაზე და კომპიუტერულ ენებზე იმუშავებს. თუმცა უმჯობესია, რომ ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგები განავითაროს დაწესებულებამ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მობილობა ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც განპირობებულია სტუდენტის საცხოვრებელი ადგილის სიახლოვის მიხედვით.

საბჭოს წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მისი განმარტებით, პროგრამის სილაბუსებში არ არის მითითებული ახალი ლიტერატურა. იგი დაინტერესდა, დაწესებულებაში მომუშავე აკადემიური პერსონალი იცნობს თუ არა ახალ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო მიღწევებსა და კვლევებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს სპეციალური სიის ფორმირება იმ ახალი ლიტერატურისა, რომელიც საჭირო იქნება სილბუსების ფორმირებისათვის. დაწესებულება ახლო მომავალში გეგმავს, რომ შეისყიდოს ახალი ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე გელენიძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ძველი ლიტერატურის არსებობა სილაბუსებში მნიშვნელოვანია, თუმცა სილაბუსების ახალი ლიტერატურით შევსება პროგრამას უფრო სრულყოფილს გახდის.

საბჭოს წევრმა თინათინ ჭაბუკიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით, რომ 19 სტუდენტმა ჩვეულებრივი წესით ჩააბარა გამოცდები თუ არა. გარდა ამისა, აქვს თუ არა დაწესებულებას რაიმე სახის შეთავაზება იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებიც ქართულ ენას ვერ ფლობენ და სურვილი აქვთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაზე ჩააბარონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნაილა ჩელებაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მისია არის ეროვნული და დაარსების დღიდან უნივერსიტეტს ჰყავს უცხოელი სტუდენტები საინგილოდან - ჰერეთიდან. მათ აქვთ კარგი პირობები, კერძოდ გარემონტებულია ორსართულიანი კორპუსი, არის სველი წერტილები, საძინებელი და სასწავლო ოთახები, აქვთ ინტერნეტზე წვდომა და ა.შ. უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ კარგი პირობები. მაშინ როდესაც პირველი სასწავლო წელი დაიწყო, პროგრამებზე იყო სტუდენტთა დიდი ნაკადი, რაც იმას ნიშნავდა რომ მაღალი მოთხოვნა იყო დაწესებულების და

პროგრამების მიმართ. მან ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების დიდი ნაწილი ზემო აჭარის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ ტრადიციებს ეხება. ამასთან დაკავშირებით კი გამოიცა რამდენიმე წიგნი და ჩატარდა სამეცნიერო ექსპედიცია. გარდა ამისა, დაწესებულება საერთაშორისო კონფერენციებში იღებს მონაწილეობას, რომლის ორგანიზატორი არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „დონის როსტოვის უნივერსიტეტთან“, რომლის რექტორი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი - ბესარიონ მესხი, რომელმაც რუსეთში მოუყარა თავი 10 000 ქართველს და ააშენა „წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი“.
საბჭოს წევრმა მანანა ქავთარაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს. მას აინტერესებდა, სამაგისტრო პროგრამაზე არის თუ არა კვლევის კომპონენტი გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ეკატერინე გელენიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს და ყველა სილაბუსში მეტნაკლებად არის გაწერილი ის საკითხები და მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს კვლევითი უნარების განვითარებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:15
დასრულების დრო: 16:13

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხ ლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნების დაკონკრეტება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით;

2. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სრულფასოვნად ასახვა პროგრამის მიზნებში და სასწავლო კურსებში. სახელდობრ, სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან;
3. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რათა ნათლად გამოჩნდეს გასაუმჯობესებელი საკითხები;
4. რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია;
5. რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
6. განსახილველ კლასტერში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია“; ანდა საბაკალავრო „ქართული ენის სინტაქსი“ და სამაგისტრო „ქართული წინადადება“;
7. კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთმოს ისეთ მცირე მოცულობის თემას, როგორიცა „მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები“ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „ახალი ქართული ენა 1“;
8. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია, სილაბუსებში საკითხთა თანმიმდევრობა დაემყაროს საგნების სპეციფიკას;
9. კლასტერში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულფასოვნად მითითება და თავიდან იყოს არიდებული უზუსტობები და ხარვეზები;
10. ვინაიდან სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს უცხო ენათა ცოდნის წინაპირობებს, რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ამოღებული იყოს მითითებული რუსულენოვანი ნაშრომები და სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორების მიერ მომზადებული ამ ნაშრომთა ქართული ვერსიები რიდერების სახით;
11. რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში დაზუსტდეს დარგობრივ ტერმინოლოგია;
12. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსების, ან სხვა აქტივობების წილი პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას;
13. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში;
14. რეკომენდებულია, მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს, რომ უარყოფითი, F შეფასებების შემთხვევაში სტუდენტი ჩაითვლება ჩაჭრილად და შეეძლება კრედიტის მოპოვება მხოლოდ საგნის ხელახლა გავლის შემთხვევაში;
15. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმებინ ამოღებულ იქნეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს მაგისტრანტების ხელმძღვანელების შეფასების ქულობრივი წილი;
16. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ;

17. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა (მათ შორის საერთაშორისო) და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც;
18. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
19. რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება;
20. რეკომენდებულია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი;
21. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები, ასევე, განხორციელელდეს პროგრამის კომპლექსური შეფასება (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით);
22. რეკომენდებულია, მოქმედ კანონმდებლობასთან კავშირში გადაიხედოს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტების ცალკეული ჩანაწერების შესაბამისობა და განხორციელდეს ცვლილებები;
23. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე;
24. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;
25. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
26. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი როგორც რესპოდენტების რაოდენობის, ისე მათ მიერ მიერ პროგრამის სხვადასხვა ასპექტების შეფასების შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების/რეკომენდაციების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დადგენა;
27. რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ;
28. რეკომენდებულია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამების დეტალური შესწავლა, შედეგების ანალიზი და ყოველივე ამის გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისათვის;
29. პროგორამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: “ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში”, ან “ქართული ლიტერატურა ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში” შემუშავება;

30. როგორამის მიზნებთან და დასაქმების სფეროებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდეს სასწავლო კურსის: “საგამომცემლო საქმე” შემუშავება, ან ამ კომპეტენციების შესახებ ჩანაწერები ამოღებული იყოს პროგრამიდან;
31. რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს;
32. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “აკადემიური წერა” აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.
33. რეკომენდებულია, შეივსოს სასწავლო კურსების: ლიტმცოდნეობის შესავალი, მე-19 საუკუნის ლიტერატურა, რუსთველოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართული ენის პრობლემური კურსი, მე-20 საუკუნის ლიტერატურა, საეკლესიო მწერლობის ზოგადი კურსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
34. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების “ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2” და “ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 3” მიზნები და თავიდან იყოს აცილებული მათი დუბლირება;
35. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ახალი ქართული ენა 4” გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხების აღრევა;
36. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში “ახალი ქართული ენა 6”, დაზუსტდეს ტერმინოლოგია და “რთული შემასმენლის” ნაცვლად გამოიყენებოდეს ტერმინი “შედგენილი შემასმენელი;

რჩევები:

1. სასურველია, სტუდენტებმა რეგულარულად გამოიყენონ დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართები აკადემიური და სამსახურეობრივი დანიშნულებით;
2. სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემების წარმოდგენის საერთო ფორმა და პერსონალი ვალდებული იყოს, პერიოდულად განაახლოს ეს მონაცემები;
3. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად და ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი;
4. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე;
5. სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა. · სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას;
6. სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
7. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი არჩევითი ლიტერატურა დაცული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
8. სასურველია, საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებაში;
9. სასურველია, სასწავლო კურსში “აკადემიური წერა” სტუდენტთა არგუმენტირებული ნაშრომების შემოწმება მოხდეს ანტიპლაგიატ პროგრამის გამოყენებით შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნების დაკონკრეტება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით;
2. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სრულფასოვნად ასახვა პროგრამის მიზნებში და სასწავლო კურსებში. სახელდობრ, სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან;
3. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რათა ნათლად გამოჩნდეს გასაუმჯობესებელი საკითხები;
4. რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია;
5. რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
6. განსახილველ კლასტერში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია“; ანდა საბაკალავრო „ქართული ენის სინტაქსი“ და სამაგისტრო „ქართული წინადადება“;
7. კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთმოს ისეთ მცირე მოცულობის

თემას, როგორიცა „მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები“ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „ახალი ქართული ენა 1“;
8. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია, სილაბუსებში საკითხთა თანმიმდევრობა დაემყაროს საგნების სპეციფიკას;
9. კლასტერში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულფასოვნად მითითება და თავიდან იყოს არიდებული უზუსტობები და ხარვეზები;
10. ვინაიდან სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს უცხო ენათა ცოდნის წინაპირობებს, რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ამოღებული იყოს მითითებული რუსულენოვანი ნაშრომები და სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორების მიერ მომზადებული ამ ნაშრომთა ქართული ვერსიები რიდერების სახით;
11. რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში დაზუსტდეს დარგობრივ ტერმინოლოგია;
12. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსების, ან სხვა აქტივობების წილი პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას;
13. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში;
14. რეკომენდებულია, მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს, რომ უარყოფითი, F შეფასებების შემთხვევაში სტუდენტი ჩაითვლება ჩაჭრილად და შეეძლება კრედიტის მოპოვება მხოლოდ საგნის ხელახლა გავლის შემთხვევაში;
15. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმებინ ამოღებულ იქნეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს მაგისტრანტების ხელმძღვანელების შეფასების ქულობრივი წილი;
16. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ;
17. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა (მათ შორის საერთაშორისო) და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც;
18. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
19. რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება;
20. რეკომენდებულია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი;
21. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები, ასევე, განხორციელელდეს პროგრამის კომპლექსური შეფასება (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით);

22. რეკომენდებულია, მოქმედ კანონმდებლობასთან კავშირში გადაიხედოს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტების ცალკეული ჩანაწერების შესაბამისობა და განხორციელდეს ცვლილებები;
23. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე;
24. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;
25. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
26. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი როგორც რესპოდენტების რაოდენობის, ისე მათ მიერ მიერ პროგრამის სხვადასხვა ასპექტების შეფასების შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების/რეკომენდაციების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დადგენა;
27. რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ;
28. რეკომენდებულია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამების დეტალური შესწავლა, შედეგების ანალიზი და ყოველივე ამის გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისათვის;
29. რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემსწავლელ სასწავლო კურსს;
30. რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ძველი ქართული ლიტერატურის მე-17-მე-18 საუკუნეების ავტორთა შემოქმედება;
31. რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ლიტერატრათმცოდნეობითი მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი;
32. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში "ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში", რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ქართულენოვანი ნაშრომებით;
33. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რომანტიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რომანტიზმი, ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012. სრული ვერსია იხ. https://rustaveli.org.ge/res/docs/aa9db338664ff77ca369354a08ca0ae7443080de.pdf თამარ ლომიძე, "ქართული რომანტიზმის პოეტიკა", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014, სრული ვერსია იხ. http://eprints.iliauni.edu.ge/2687/1/qartuli%20romantizmis%20poetika%20%2810%29.pdf და სხვ.;
34. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის, "ქართული რეალიზმი", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომებით. მათ შორის, მაგალითად: "ქართული რეალიზმის სათავეებთან", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart,real-XIX.pdf "ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ

ლიტერატურაში", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015. იხ. სრული ვერსია: https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf და სხვ.
35. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით. · რეკომენდებულია, სასწავლო კურსის,: "ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება", ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს რელევანტური ნაშრომებით;
36. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სახელწოდებაში "ვაჟათმცოდნეობა" შესწორდეს ხარვეზი და ეწოდოს ვაჟასმცოდნეობა, ან, ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება, როგორც ეს არის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლებისათვის განსაზღვრულ სასწავლო კურსებში;
37. რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი;

რჩევები:

1. სასურველია, სტუდენტებმა რეგულარულად გამოიყენონ დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართები აკადემიური და სამსახურეობრივი დანიშნულებით;
2. სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემების წარმოდგენის საერთო ფორმა და პერსონალი ვალდებული იყოს, პერიოდულად განაახლოს ეს მონაცემები;
3. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად და ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი;
4. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე;
5. სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა. · სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას;
6. სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
7. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი არჩევითი ლიტერატურა დაცული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
8. სასურველია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში;
9. მიზანშეწონილია, პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნების დაკონკრეტება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით;
2. რეკომენდებულია სწავლის შედეგების სრულფასოვნად ასახვა პროგრამის მიზნებში და სასწავლო კურსებში. სახელდობრ, სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან;
3. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები იყოს მოქნილი, რათა ნათლად გამოჩნდეს გასაუმჯობესებელი საკითხები;
4. რეკომენდებულია, ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამების სტრუქტურას შორის იყოს სრული კორელაცია;
5. რეკომენდებულია განახლდეს და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
6. განსახილველ კლასტერში თავიდან უნდა იქნეს აცილებული საგანთა გადაფარვა, მხედველობაში გვაქვს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების საგანთა ისეთი სილაბუსები, როგორებიცაა: საბაკალავრო „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ და სამაგისტრო „ლექსიკოლოგია“; ანდა საბაკალავრო „ქართული ენის სინტაქსი“ და სამაგისტრო „ქართული წინადადება“;
7. კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში შეტანილი ცალკეული თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სალექციო-სასემინარო დროის ხანგრძლივობას; მაგალითად, გაუმართლებელია, 3 საათიანი სალექციო-სასემინარო დრო დაეთმოს ისეთ მცირე მოცულობის თემას, როგორიცა „მარცვალი და მისი აგებულება. დამარცვლისა და გადატანის წესები“ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში „ახალი ქართული ენა 1“;

8. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სასწავლო კურსებში დაზუსტდეს ტერმინოლოგია, სილაბუსებში საკითხთა თანმიმდევრობა დაემყაროს საგნების სპეციფიკას;
9. კლასტერში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულფასოვნად მითითება და თავიდან იყოს არიდებული უზუსტობები და ხარვეზები;
10. ვინაიდან სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს უცხო ენათა ცოდნის წინაპირობებს, რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ამოღებული იყოს მითითებული რუსულენოვანი ნაშრომები და სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორების მიერ მომზადებული ამ ნაშრომთა ქართული ვერსიები რიდერების სახით;
11. რეკომენდებულია, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში დაზუსტდეს დარგობრივ ტერმინოლოგია;
12. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსების, ან სხვა აქტივობების წილი პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას;
13. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში სწავლა-სწავლების მეთოდებში განისაზღვროს წერითი უნარების განმავითარებელი მეთოდები და აისახოს პროგრამებსა და სასწავლო კურსებში;
14. რეკომენდებულია, მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს, რომ უარყოფითი, F შეფასებების შემთხვევაში სტუდენტი ჩაითვლება ჩაჭრილად და შეეძლება კრედიტის მოპოვება მხოლოდ საგნის ხელახლა გავლის შემთხვევაში;
15. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმებინ ამოღებულ იქნეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს მაგისტრანტების ხელმძღვანელების შეფასების ქულობრივი წილი;
16. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ;
17. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა (მათ შორის საერთაშორისო) და კვლევით პროექტებში, რისი შედეგებიც აისახება სათანადო სამეცნიერო ნაშრომებში, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესშიც;
18. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
19. რეკომენდებულია დაწესებულებისთვის ქართული აკადემიური სივრცის გამოცდილების გაზიარება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობა, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, სხვა უსდ-ების სასწავლო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება;
20. რეკომენდებულია, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო-კვლევითი ორიენტირები სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარების კუთხით, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი. უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მაჩვენებელი;
21. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები, ასევე, განხორციელელდეს პროგრამის კომპლექსური შეფასება (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით);

22. რეკომენდებულია, მოქმედ კანონმდებლობასთან კავშირში გადაიხედოს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტების ცალკეული ჩანაწერების შესაბამისობა და განხორციელდეს ცვლილებები;
23. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგ--რამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე;
24. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;
25. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
26. რეკომენდებულია, პროგრამის გარეშეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი როგორც რესპოდენტების რაოდენობის, ისე მათ მიერ მიერ პროგრამის სხვადასხვა ასპექტების შეფასების შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების/რეკომენდაციების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დადგენა;
27. რეკომენდებულია, შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ;
28. რეკომენდებულია, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამების დეტალური შესწავლა, შედეგების ანალიზი და ყოველივე ამის გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისათვის;
29. შესაბამისი დარგის სპეციალისტების არყოლის გამო რეკომენდებულია, ქართველური ენათმეცნიერების პროგრამა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემოიფარგლოს ქართულის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხების, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემების სწავლა;
30. რეკომენდებულია, საგანს „ქართველური ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)“, შეეცვალოს სათაური, მით უმეტეს, რომ ეს სილაბუსი მხოლოდ ქართული მასალის საფუძველზეა აგებული და მასში არ ჩანს ისტორიული ასპექტი;
31. რეკომენდებულია, საგანს “ქართველური ონომასტიკა”, შეეცვალოს სათაური და გადამუშავდეს;
32. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს: ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი 1 და 2 შეეცვალოს სათაური, ეწოდოს ქართული დიალექტოლოგია და თემატიკა დაემყაროს ქართული ენის დიალექტების სწავლებას.
33. რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

რჩევები:

1. სასურველია, სტუდენტებმა რეგულარულად გამოიყენონ დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართები აკადემიური და სამსახურეობრივი დანიშნულებით;
2. სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემების წარმოდგენის საერთო ფორმა და პერსონალი ვალდებული იყოს, პერიოდულად განაახლოს ეს მონაცემები;

3. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ტრენინგები ტარდებოდეს ხშირად და ჰქონდეს მიზნობრივი ხასიათი;
4. სასურველია, პროგრამების განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების მექანიზმები ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ ჰქონდეს ერთეული შემთხვევების სახე;
5. სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა. · სასურველია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა სტუდენტებმა ინტენსიურად გამოიყენონ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას;
6. სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს საბიბლიოთეკო რესურსის განახლების მექანიზმები და მუდმივად ახლდებოდეს საბიბლიოთეკო ბაზა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.
7. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი არჩევითი ლიტერატურა დაცული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
8. სასურველია, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაწესდეს დარგობრივი წინაპირობა და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ან მომიჯნავე დარგებში;
9. მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში იყოს გათვალისწინებული მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის საკითხი.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია/Biomedical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 დეკემბრის # 95 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერიის ბაკალავრი /Bachelor of Biomrdical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული 0719 - Engineering and engineering trades – not elsewhere classified
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N61, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ხათუნა საგანელიძემ განაცხადა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 15 რეკომენდაცია და 10 რჩევა. პროგრამის მიზანი და შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და გასაგებად, თუმცა სტრუქტურა და შინაარსი ვერ პასუხობს შედეგებს. ეს ეხება როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, წინაპირობები გადასახედია და შეფასების სისტემა, ტექნიკურად მოსაყვანია კანონმდებლობასთან თანხვედრაში. პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში და განიცადა მოდიფიცირება, თუმცა კიდევ ერთხელ ესაჭიროება გადახედვა და ხარვეზების აღმოფხვრა. აკადემიური პერსონალი არჩეულია საკანონმდებლო რეგულაციების დაცვით, თუმცა მოწვეულ პერსონალს არ აქვს გამოცდილება უმაღლეს განათლების საფეხურზე სწავლის და არ იცნობენ შეფასების სისტემას. გარდა ამისა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დოკუმენტების სწორად წარმოებას. მან აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხდება გასაუბრების პრინციპით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ პროგრამა იმყოფებოდა რეაკრედიტაციის პროცესში რა დროსაც მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევები, კერძოდ გარდაიცვალნენ პროგრამის ხელმძღვანელი და წამყვანი პროფესორი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რომლებსაც ახლო მომავალში გამოასწორებენ. მისი თქმით, უცხოელი სტუდენტის ცარიცხვა ხდება მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით უნივერსიტეტის თანხმობის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს. იგი დაინტერესდა, "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ლაბორატორიასთან დაკავშირებით, კერძოდ ლაბორატორია ხომ არ შეუქმნის პროგრამის მდგრადობას საფრთხეს. გარდა ამისა, დაინტერესდა არის თუ არა პროგრამის განხორციელებისათივს აუცილებელი სახელმძღვანელოები სილაბუსებში მითითებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ხათუნა საგანელიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის შენობაში არის ლაბორატორია, სადაც ხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები. გარდა ამისა, არსებობს აფილირებულ დაწესებულებებში პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების გამოცდილება. მისი აზრით, აუცილებელია უნივერსიტეტმა ლაბორატორია მოაწყვოს თანამედროვედ, რათა სტუდენტი გავიდეს სწავლის შედეგზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითიტებული რამდენიმე წიგნი ვერ იქნა მოძიებული ბიბლიოთეკაში, თუმცა აღნიშნული წიგნების არსებობის შემთხვევაშიც, სასურველია მისი თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლება. ამჟამად არსებული ლიტერატურა, რომელიც არის მითითებული სავალდებულო კურსებში უნდა გადავიდეს დამხმარე ლიტერატურაში და ბიბლიოთეკაში მოწესრიგდეს მათი არსებობის საკითხი.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს. იგი დაინტერესდა, ამ ეტაპზე პროგრამა გადის თუ არა შედეგზე. გარდა ამისა, რამდენი სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე.
ექსპერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ხათუნა საგანელიძემ განაცხადა, რომ დასკვნაში დეტალურად არის მოცემული პროგრამის შედეგზე გასვლის შესახებ ინფორმაცია. მისი თქმით, ამჟამად პროგრამა ნაწილობრივ გადის სწავლის შედეგზე, თუმცა ის აკადემიური პერსონალი, რომელიც წარმოდგენილია უნივერსიტეტში მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე შესაძლებელია მოკლე ვადაში მოვიდეს შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
დაწესებულების ხარისხის უზრუნყველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ შარშან პროგრამა იყო ავტორიზებულ რეჟიმში და სტუდენტების მიღება არ მომხდარა. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 22 სტუდენტი.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს. მას აინტერესებდა, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს უნივერსიტეტი აბიტურიენტების მოსაზიდად.
დაწესებულების ხარისხის უზრუნყველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ პროგრამა ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში 2 წელია და პროგრამისადმი ინტერესი ნაკლებია. ამ ეტაპზე უნივერსიტეტი ჩართულია სტუდენტთა დაინტერესების პროცესში. წელს მიმდინარე პროგრამაზე 15 ადგილი აქვს გამოცხადებული დაწესებულებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:02

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭომ სრულდ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები
რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს და კორელაციაში იყოს პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან;
2. გაიზარდოს დაინტერესბული მხარეების ჩართვა პროგრამის შედეგების ფორმირების პროცესში;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის გადახედვა და იმ აუცილებელი სასწავლო კურსების დამატება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაშიარსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების რელევანტურად განაწილება;
5. რეკომენდირებულია პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გადახედვა;
6. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსების თემატიკა და მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან;
7. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: განახლდეს ქართულენოვანი ლიტერატურა, ხოლო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით მომზადდეს თარგმანი (ჰენდაუთები);

8. რეკომენდირებულია შემუშავდეს ქართული ენის, ფიზიკის/ბიოლოგიის კომპეტენციის დადასტურების მექანიზმი იმ აბიტურიენტებისთვის, ვინც პროგრამზე ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;
9. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკუთარი ან ხელშეკრულებით ბიოსამედიცინო აპარატურის დიაგნოსტირება/შეკეთება/პროგრამირების სასწავლო ლაბორატორიის არსებობა;
10. არსებულ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსები და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების რაოდენობა;
11. რეკომენდირებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის ბრძანება No105/ნ -ის შესაბამისად შეფასების სისტემაში შესული ცვლილებების, "მუხლი 4. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში" სასწავლო პროგრამასა და სილაბუსებში ასახვა;
12. სავალდებულო კურსების განმახორციელებელ მოწვეულ პერსონალს უნდა გააჩნდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
13. რეკომენდირებულია განმახორციელებელი პერსონალის ტრენინგების ჩატრება სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში;
14. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა;
15. რეკომენდირებულია დაინტერესებულ მხარეების (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა;
16. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭირო ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოს მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ასწავლო კურსების სილაბუსის შედგენის, შეფასების სიტემისა და სწავლების მეთოდების კუთხით;
17. რეკომენდირებულია განხორციელდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამოყენებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება; პროცესი იქნეს ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

რჩევები:

1. სასურველია იმ კურსებს, რომელიც ითვალისწინებს უნარების გამომუშავებას მეტი პრაქტიკული (ლაბორატორიული) მეცადინეობის საათი დაეთმოს;
2. სასურველია გაიზარდოს სტუდენეტბის სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა;
3. სასურველია უფრო გაღრმავდეს და გაძლიერდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციას და გაზრდის გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობას;
4. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია უნივერსიტეტმა მოიწვიოს უცხოელი აკადემიური პერსონალი;
5. ბიოსამედიცინო აპარატურის სასწავლო ლაბორატორიის შექმნა პრაქტიკული სწავლებისთვის;
6. სასურველია საგრანტო პროექტებში აქტიური მონაწილეობა და ბიოსამედიცინო აპარატურის მომწოდებელ კომპანიებთან სასპონსორო შეთანხმებების მიღწევა;
7. სასურველია ბიუჯეტი იყოს წარმოდგენილი უფრო დეტალურად და ნათლად ასახავდეს კონკრეტულ მიზნობრიობას;
8. სასურველია პროგრამის შეფასება ხორციელდებოდეს კურსდამთავრებულების მიერ საჭირო კომპედენციებისა და უნარების კვლევის კუთხით;

9. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ
10. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
11. სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) / Civil Engineering (Major)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი/ Bachelor of Civil Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია Building and Civil Engineering
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხეს: ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ;
აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2023 წლის 13 თებერვალს აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობის)“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის სამუშაოები. ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემო, აუდიტორიები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა არის ახალი და სწავლება არ განხორციელებულა. პროგრამის მოცულობა კრედიტებში არის 254 კრედიტი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი“. პროგრამას ჰყავს ორი მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომლებიც დამატებით ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირად საქმეებს და მათი კვალიფიკაცია დადასტურებულია. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე, უახლესი აპარატურითა და დანადგარებით. პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ხოლო აკრედიტაციის მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან. მისი განმარტებით, უნივერსიტეტში არსებობს აფილირებული პერსონალის წახალისების მექანიზმები და ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში, რომელიც გამოიხატება ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი, პრემიისა და ხელფასის დანამატის სახით. ეს შეფასდა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 6 რეკომენდაცია და 3 რჩევა.

პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო არჩევითი კომპონენტებად შეთავაზებული იქნას შემდეგი სასწავლო კურსები: პრაქტიკა და შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა“, ჯგუფის თავმჯდომარემ,ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა“ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკად მიიჩნევა. სილაბუსებში არის გათვალისწინებული მცირე მოცულობით, მაგრამ ამით ვერ დაიწყებს სტუდენტი სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობას. პროგრამის კურიკულუმში, დასაქმების სფეროების პუნქტში განსაზღვრულია ასეთი ჩანაწერი: „კურსდამთავერული შეძლებს დასაქმდეს სამოქალაქო და ინფრასტრუქტურული ნაგებობის მშენებლობებზე“. შესაბამისად, სტუდენტმა უნდა იცოდეს შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა. მან ასევე აღნიშნა, რომ დამსაქამებელთა და დასაქმებულთა პოზიცია ერთნაირია იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო ასევე შემდეგი რეკომედაცია: „რეკომენდირებულია, იმ სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც მითითებულია, რომ „ამ კურსისთვის სახელმძღვანელო არ არის საჭირო. თითოეულ ლექციაზე დარიგდება საინფორმაციო მასალები“, გაიწეროს ის რესურსი/რეგულაციები/ინტერნეტის მისამართები, საიდანაც განხორციელდება სტუდენტებისთვის სალექციო თემატიკის შესაბამისი მასალების გადაცემა“.დაწესებულების წარმომადგენლების არგუმენტირებული პოზიციაში განმარტებული იყო, რომ გარკვეულ თემატიკებზე იქნებიან მოწვეული პირები, რომლებიც ჩაატარებენ ლექციებს. წინასწარ იქნება არგუსზე თემატიკა დადებული და მეცადინეობის წინსწრებით მიაწვდის ლექტორი საკითხებს სტუდენტებს, თუმცა დაწესებულების მიერ არ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული იმიტომ, რომ სასწავლო კურსი შესავალი საინჟინრო საქმეში მოიცავს ისეთ თემატიკებს, როგორებიც არის სამშენებლო დარგი და მასში მონაწილე სუბიექტები, პროფესიული ეთიკის არსი, საინჟინრო პროფესიული ეთიკა და ა.შ. ამ კონკრეტულ თემატიკებზე არ იქნებიან მოწვეული სპიკერები სილაბუსების მიხედვით. ლიტერატურა და რეგულაციები ბევრია მოცემული თემატიკებიდან გამომდინარე. შესაბამისად, რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი/ლიტერატურა პერიოდულად განახლდეს ახალი გამოცემებით.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ეს პროცესი მიმდინარეობს და სასწავლო კურსები უზრუნველყოფილი არის უახლესი მასალებით. ძირითად ლიტერატურად მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, თუმცა ერთეულ შემთხვევებში გამოყენებულია 90-იანი წლების ლიტერატურა. დარგის ექსპერტებისთვის ცნობილია, რომ არსებობს ახალი ლიტერატურა, სადაც ახალი დანადგარები არის განხილული და შესაძლებელია, რომ ძველი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ახალით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობა. მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პერსონალის მიღების შემთხვევაში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენის შესახებ.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, თანდართულ დოკუმენტაციად წარმოდგენისას არ არსებობს ვალდებულება აკადემიური და მოწვეული პეროსონალის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი იყოს თანდართული სააკრედიტაციო პაკეტს. შესაბამისად, წარმოდგენილია მხოლოდ მათი დიპლომები და CV-ები. რეკომენდაციის გაცემის საფუძველი კი არის კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1-ელ მაისს.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებში გაიწეროს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“

მე-14 მუხლით განსაზღვრული ძირითადი პირობა - ინფორმაცია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ“, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტეს, რომუნივერსიტეტი ეთანხემბა რეკომენდაციას და მათი პოზიცია არის ის, რომ ლექტორი მოწვეულია კონკრეტული საათების ჩასატარებლად, მაგრამ საათობრივ ზღვარს არ სცდება მისი დატვირთვა, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებში უნდა გაიწეროს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული ძირითადი პირობა, ინფორმაცია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას.
მიზანშეწონილია, შეიქმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, მცირე რაოდენობის წიგნების შემთხვევაში, უზრუნველყოს სხვა სტუდენტები. ეს შეიძლება იყოს ქსეროქსით ასლის გადაღება, გაციფრულება და სხვა.
უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროგრამა არის ახალი და ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოთა მხოლოდ თითო ეგზემპლარი, თუმცა მიმდინარეობს ყველა რესურსის გაციფრულება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ირმა ღარიბაშვილის განმარტებით, ვიზიტის ფარგლებში ლიტერატურის ნაწილი გაციფრულებული და წარმოდგენილი იყო ელექტრონულად წვდომადი „რიდერების“ სახით, თუმცა შერჩევითი შემთხვევის პრინციპის საფუძველზე ერთ-ერთი სახელმძღვანელო არ იყო წარმოდგენილი როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. მან აღნიშნა, რომ უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი სახელმძღვანელოების სულ მცირე ერთი ეგზემპლიარზე წვდომას ნებისმიერ სამუშაო დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ბალავაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "სამოქალაქო ინჟინერიის“ პროგრამა ეფუძნება ინგლისურენოვან პროგრამას და საერთაშორისო პრაქტიკას. პრაქტიკა ამ დარგში რთულად წარმოსადგენია და დაწესებულება ვერ ხედავს პრაქტიკის დანიშნულებას, რადგან პროგრამის სტრუქტურა არის შემდეგი: იწყება მათემატიკითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებით, შემდეგ ხდება დაშენება კლასიკური საინჟინრო საგნების, ხოლო მესამე და მეოთხე კურსებზე ხდება ძირითადი სპეციალობების საგნების სწავლება. სტუდენტები პრაქტიკას გადიან სასწავლო კურსის პროცესში. ამ პროგრამაში გათვალისწინებული არის ე.წ. „Capstone” პროექტი, რომელიც ხორციელდება დამსაქმებელთან ერთად. მასში ჩართული არიან სტუდენტები, რომლებიც აკეთებენ რეალურ პროექტს. მისი განმარტებით, სტუდენტებმა უნდა ისწავლონ უსაფრთხოდ დაპროექტება და არა სამშენებლო პროექტის განხორციელება. სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ტექნიკური რეგლამენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონსტრუქციის უსაფრთხო დაპროექტება. ამ დარგის ძირითადი ამოცანა არის ის, რომ სტუდენტმა ისწავლონ დაპროექტება და არა აშენება. შრომის უსაფრთხოება არ არის დაკავშირებული ამ დარგთან. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „შესავალი სპეციალობაში“ ისწავლება პირველ სემესტრში, რომელიც შეისწავლის ძირითად კონცეფციებს სამოქალაქო ინჟინერიისას. სასწავლო კურსით გათვალისწინებულია დარგის ექსპერტის მოწვევა, რომელიც სტუდენტებს გააცნობს რეალურად დარგს და თუ რას შეისწავლის დარგი. სტუდენტები სასწავლო პროცესში ასევე ეცნობიან საინჟინრო ეთიკას. გარდა ამისა, სტუდენტებმა თვითონ უნდა მოიძიონ რომელიმე პროფესიული საერთაშორისო ასოციაციის საინჟინრო ეთიკა და მოახდინონ დადარება ძირითად საინჟინრო ეთიკასთან, რათა უკეთ შეიმეცნონ ის თუ რა მნიშვნელობა აქვს ინჟინერისთვის საინჟინრო ეთიკას. კონკრეტული ლიტერატურა არ არის მითითებული, რადგან მათი მითითება ზღუდავს იმ ამოცანებს, რომლებსაც ისახავს სასწავლო კურსები. სემესტრის დაწყებამდე ლექტორი მოამზადებს იმ მასალებს, რომლებიც უნდა გააცნოს სტუდენტებს და მოახდენს მათ ატვირთვას არგუსზე.

ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ახალი ქართულენოვანი ლიტერატურა ნაკლებად იშოვება ამ სპეციალობით, თუმცა კურსებში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც სტუდენტს უფრო გაუღრმავებს ცოდნას "სამოქალაქო ინჟინერიის" მიმართულებით. ვახტანგ ბალავაძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საკონკურსო მოთხოვნებში პირდაპირ არის მითითებული სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობის საჭიროება და წარდგენა. ეს ცნობა წარმოდგენელი აქვს ყველა აკადემიურ პერსონალას. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ლექტორს ანაზღაურება აქვს საათების მიხედვით და ის ვერ იმუშავებს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, რადგან მას უკვე განსაზღვრული აქვს სამუშაო დრო და გრაფიკი. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნამდვილად იყო ვიზიტის დროს ერთი ლიტერატურა გატანილი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ყველა ქართულენოვანი ლიტერატურის გაციფრულება. დაწესებულება ახლო მომავალში გეგმავს ყველა ლიტერატურის გაციფრულებას, რათა თითოეული სტუდენტისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ლევან ნიკოლეიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს. მას აინტერესებდა, დაწესებულების მიერ თუ ხდება უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ბალავაძემ განაცხადა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში ხდება უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც, რადგან უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტბთან. ქართულენოვანი პროგრამის შემთხვევაში კი ხდება ქართველი სპეციალისტების მოწვევა.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა თუ არა ლაბორატორიული ბაზები მონახულება. გარდა ამისა, დაინტერესდა თუ რატომ არის პროგრამაში რამდენიმე კურსი 8 კრედიტიანი. ასევე, რა განსხვავებაა კურსებს, სტანდარტულ ეკონომიკის საფუძვლებსა და საინჟინრო ეკონომიკის საფუძვლებს შორის. კურიკულუმში იკითხება სასწავლო კურსი „შესავალი საინჟინრო მასალებში“, ხოლო სილაბუსში „შესავალი სამშენებლო მასალებში“. მას აინტერესებდა, თუ რამ განაპირობა აღნიშნული ცვლილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტები გაეცვნენ ჰიდრავლიკის ლაბორატორიას, რომელიც არის მაღალი სტანდარტებით მოწყობილი. სტუდენტი კონკრეტული საგნის დასრულების შემდეგ გავლენ შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ბალავაძემ აღნიშნა, რომ ყველა 8 კრედიტიანი საგანი არის ლაბორატორიული სამუშაო. საინჟინრო ეკონიმიკა სწავლობს ალტერნატივების არჩევის დასაბუთებას საინჟინრო გადაწყვეტილებებში. აქ იგულისხმება როგორც საფინანსო ინსტრუმნეტების გამოყენებით სწავლება, ისე ანალიზის მეშვეობით. მან აღნიშნა, რომ კურსებში „შესავალი საინჟინრო მასალებში“ და „შესავალი სამშენებლო მასალებში“ ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ახლო მომავალში გამოსწორდება.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს. იგი დაინტერესდა, 4.1 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკაშირებით, რომ აღნიშნული თავიდანვე რეკომენდაციის სახით იყო თუ არა გაცემული. გარდა ამისა, 4.4 კომპონენტის მიმართ გაცემული რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რატომ მეორდება რჩევაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 4.1 კომპონენტის მიმართ გაცემული რეკომენდაცია დარჩა რეკომენდაცია, რადგან დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არ მოხდა რეკომენდაციის გათვალისწინება. 4.4 კომპონენტის მიმართ გაცემული რეკომენდაციის გამეორება რჩევებში კი იყო ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:49

დასრულების დრო: 18:55

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კერძოდ 4.1 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - (31/12/2026).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 31/12/2026.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც მითითებულია, რომ „ამ კურსისთვის სახელმძღვანელო არ არის საჭირო. თითოეულ ლექციაზე დარიგდება საინფორმაციო მასალები“, გაიწეროს ის რესურსი/რეგულაციები/ინტერნეტმისამართები, საიდანაც განხორციელდება სტუდენტებისთვის სალექციო თემატიკების შესაბამისი მასალების გადაცემა;
2. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი/ლიტერატურა პერიოდულად განახლდეს ახალი გამოცემებით;
3. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკას ჰქონდა გაცემული დაინტერესებულ პირზე. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ ადგილზე ვერ შემოწმდა სახელმძღვანელო. მიზანშეწონილია შექმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას მცირე რაოდენობის წიგნების შემთხვევაში უზრუნველყოს სხვა სტუდენტები.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო - არჩევით კომპონენტებად შეთავაზებულ იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: 1. „პრაქტიკა“ 2. "შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა“;
2. გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები სასწავლო კურსების სილაბუსებში, კერძოდ: აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით (05.09. 2022 წლის ბრძანება N2249-02) და ასევე სილაბუსში „ME 240 - შესავალი საშენ მასალებში“, აღნიშნულ ორ დოკუმენტში ჩასწორდეს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის სახელი და სტატუსი. ამავე სილაბუსში „შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმების“ პუნქტში გაწერილი ინფორმაცია შესაბამისობაში მოვიდეს „შუალედური და დასკვნითი გამოცდების“პუნქტთან. „CIVE 121 - კომპიუტერული გრაფიკა აშენებული გარემოსათვის“ სასწავლო კურსის სილაბუსში, შეფასების წესის გრაფაში, შუალედური გამოცდა I-ში ჩანაწერი „მესამე შუალედური გამოცდა ეფუძნება...“ წარმოადგენს მექანიკურ უზუსტობას;
3. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების მე-14 პუნქტში (თემატიკა კვირების მიხედვით), ძირითადი თემის დასახელების ქვეშ აისახოს/დაზუსტდეს ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის/თემატიკების მოკლე ჩამონათვალი.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში/ Technological systems and technologies in agribusiness
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 18/01/2021 №8552
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი,

		შერვაშიძის ქუჩა N53, აგრარული ფაკულტეტი N19
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა განაცხადა, რომ 2020 წლის დეკემბერში აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიენიჭა პროგრამას 7 წლიანი აკრედიტაცია 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების დათქმით. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. რეკომენდაციებისა და რჩევების დიდი ნაწილი ეხებოდა ინგლისური ენის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ პროგრამასთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა, თუ რატომ არის განსაზღვრული დაწესებულების მიერ შუალედური ქულა განსაზღვრული არანაკლებ 30 ქულით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი და იგულისხმება რომ გამოცდის დიაპაზონი არის 30 ქულიანი.
ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ კურიკულუმი უნდა შედგებოდეს სპეციალობის საგნებისაგან და მათ შორის უცხო ენებისგან, მაგრამ პროგრამაზე კრედიტების გაზრდით პროგრამა ვერ გავა შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 19:10
დასრულების დრო: 19:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27/01/2022; 76909
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მარკეტინგი და რეკლამა - 0414
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0715, თბილისი, კოსტავა 77, კორპ.6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა: ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ;
აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობ ადაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფსწარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ნატალია თვალჭრელიძემ განაცხადა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო 6 რეკომენდაცია და 10 რჩევა. მისი განმარტებით, დაწესებულება პროფესიულად მოეკიდა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა მე-5 და მე-6 რეკომენდაციის მიმართ დაწესებულებას შეეძლო მეტი სამუშაოების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და შეასრულა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ყველა რჩევა. მისი თქმით, რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა პროგრამის დადარების საკითხს, დაწესებულებამ ორ უნივერსიტეტთან მოახდინა ანალოგ პროგრამასთან დადარება. გარდა ამისა, დამატებით ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროგრამასთანაც მოხდა პროგრამის დადარება. პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირებთან ჩატარდა გამოკითხვები, მაგალითად სტუდენტების გამოკითხვის შედეგად შეფასდა სასწავლო კურსები და გარემო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 19:28
დასრულების დრო: 19:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგარმაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულ და 19:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი